ხაშურის მოამბე

№24 (446) 1 ივლისი, ორშაბათი, 2024 წელი

ხაშურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში გაიმართა ტრენინგი თემაზე: „პაციენტის უფლებების დაცვის პრევენციული მექანიზმები“

პრეზენტატორებმა იოსებ გაბარაევმა, თათია შავშიშვილმა, მარიამ ბაზანდარაშვილმა და თამარ გოგიაშვილმა აუდიტორიას გააცნეს პაციენტის ძირითადი უფლებები, ექიმისა და პაციენტის ურთიერთობის, პაციენტებთან კომუნიკაციის ფორმები. იმსჯელეს, თუ როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი, თუ მისი, როგორც პაციენტის უფლებები დაირღვა, განიხილეს პაციენტის უფლებები დარღვევების პრევენციის მექანიზმები.

შეხვედრას ესწრებოდა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანი, აგრეთვე, მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს, მუნიციპალური ა(ა)იპ-ების, ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლები.

გაიმართა საინტერესო დისკუსია. პრეზენტატორებმა უპასუხეს დამსწრეთა შეკითხვებს და განიხილეს სხვადასხვა კონკრეტული მაგალითები.

შეხვედრა სამოქალაქო განათლების ლექტორთა ასოციაციის ინიცირებით ჩატარდა.

შეხვედრა საბავშვო ბაღების გაერთიანების თანამშრომლებთან

ამ დღეებში ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ზვიად გოგუაძე საბავშვო ბაღების გაერთიანების თანამშრომლებსა და გაერთიანებაში შემავალი საბავშვო ბაღების მენეჯერებს შეხვდა.

შეხვედრაზე მოისმინეს გაერთიანების სამუშაო ანგარიში და ინფორმაცია ყველა იმ მიღწევის შესახებ, რაც გაერთიანებას გამოარჩევს და განსაკუთრებულს ხდის, არა მხოლოდ რეგიონის მასშტაბით.

გაერთიანების ინიციატივით, საბავშვო ბაღების დირექტორებმა და აღმზრდელებმა , საქართველოს ბავშვთა ჯანმრთელობაზე ზრუნვის ასოციაციის ეგიდით აღმზრდელ-პედაგოგთა გადამზადების 66 საათიანი კურსი გაიარეს. გაერთიანების ხელმძღვანელთან, ლელა გელაშვილთან ერთად, დირექტორებს სერტიფიკატები გადაეცათ.

ასევე, იმსჯელეს ყველა იმ გამოწვევის შესახებ, რაც საბავშვო ბაღების წინაშე დგას, განსაკუთრებით ავტორიზაციის სტანდარტის დაკმაყოფილებისთვის პრიორიტეტულად განსახორციელებელ ღონისძიებებზე.

არქეოლოგების ჯგუფი - ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში

ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს სტუმრად ჰყავდა არქეოლოგების ჯგუფი: ვახტანგ ლიჩელი(არქეოლოგი, ხოვლეს არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი), დარეჯან ტურიაშვილი(არქეოლოგი, „გრაკლიანის გორა“), ვალტერ ქუნთნერი(არქეოლოგიის დოქტორი, ინსბრუკის უნივერსიტეტი), ბირგიტ გრანდი(მაგისტრატურის სტუდენტი, ინსბრუკის უნივერსიტეტი) იოანა სივერი(ბაკალავრიატის სტუდენტი, ინსბრუკის უნივერსიტეტი), თამარ გიორგაძე(თსუ-ს დოქტორანტი), ლუკა გოგალაძე(თსუ-ს არქეოლოგიის ბაკალავრიატის სტუდენტი). სტუმრები განსაკუთრებით დაინტერესდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის არქეოლოგიურ ძეგლ „საციხურის გორა-ნამოსახლარის“ არქეოლოგიური მასალით(კერამიკა, ორგანული მასალა და ა. შ.).

ცნობილი არქეოლოგებისა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლობა გაგრძელდება და იმედია, ეს ურთიერთობა მრავალ საინტერესო სიახლეს მოიტანს.

ხაშურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ხუთი თვის შესრულების ანგარიში

ხაშურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 18 დეკემბრის № 28 დადგენილებით.

დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით, 2024 წლის ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 30 296,6 ათასი ლარის ოდენობით. მუნიციპალიტეტის ძირითად საბიუჯეტო ანგარიშზე 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ნაშთის სახით ირიცხებოდა 7 646,2 ათას ლარi (აქედან, ადგილობრივი ბიუჯეტის ნაშთი 6 815,6 ათასი ლარი, დელეგირებული 190,4 ათასი ლარი მთავრობს განკარგულებით მიღებული თანხების ნაშთი - 640,2 ათასი ლარი).

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებების საფუძველზე განხორციელდა დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა და 2024 წლის 1 ივნისის მდგომარეობით, 2024 წლის ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 48 179,4 ათასი ლარით, რაც 17 882,8 ათასი ლარით აღემატება თავდაპირველად დამტკიცებული ბიუჯეტის მაჩვენებელს.

2024 წლის 1 ივნისის მდგომარეობით, შემოსულობების საკასო შესრულებამ 23 263,6 ათასი ლარი შეადგინა, რაც შესაბამისი პერიოდის გეგმის (17 256,3 ლარი) 134,81%, ხოლო წლიური გეგმის (41 415,0 ლარი) 56,17%-ს შეადგენს. რაც შეეხება შემოსულობების გეგმის შესრულებას ცალკეული სახეობების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:

შესაბამისი პერიოდის გეგმასთან მიმართებაში გადასახადების გეგმა შესრულდა 89,10% (9 681,4 ათასი ლარი), მათ შორის: დმატებითი ღირებულების გადასახადი 97,09%-ით, საწარმოთა ქონების გადასახადი 53,63%-ით, ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი 5,42%-ით, სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი 27,66%-ით, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი 5,90%-ით.

სხვა შემოსავლების გეგმა შესრულდა 76,72%-ით (1 182,8 ათასი ლარი), მათ შორის: რენტა - 96,26%-ით, მოსაკრებელი მშენებლობის დაწყების ნებართვისათვის- 34,15%ით, მოსაკრებელი დასახლებული

ტერიტორიის დასუფთავებისათვის -75,65%-ით, შემოსავალი ჯარიმებიდან და საურავებიდან- 74,72%-ით, შემოსავალი შენობა-ნაგებობის იჯარიდან 70,71%, ხოლო არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული შემოსავლების გეგმა შესრულდა 129,93%-ით.

2024 წლის 1 ივნისის მდგომარეობით, შესაბამისი პერიოდის გეგმასთან მიმართებაში შემოსულობების საერთო ოდენობაში სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული სახსრების ხვედრითი წილი შეადგენს 97,32%-ს (4 617,9 ათას ლარს), ,,საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, სახელმწიფო ბიუჯეტში მიზნობრივი დანიშნულების ტრანსფერიდან დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად გათვალისწინებულია- 290,1 ათასი ლარი, მიღებულია – 145,0 ათასი ლარი.

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის იანვრის N2402 განკარგულების საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო 8 436 970 ლარი ინფრასტრუქტურული ღონისძიებების განსახორციელებლად. (სოფელ წრომში და სოფელ ზეკოტაში ასფალტობეტონის გზების მოწყობა, დაბა სურამში, ტაბატაძის ქუჩის მეორე მონაკვეთზე, ასფალტობეტონის გზის მოწყობა, სოფელ ახალსოფლის გზის მოასფალტება, სოფელ ტეზერში ბეტონის საბარის მოწყობა, სოფ ქინძათისა და სოფ დუმაცხოვის დამაკავშირებელი გზის მოასფალტება, სოფელ ქვიშხეთში, მე-5 და მე-8 ქუჩების და ასევე მჭედლიშვილების უბანში გზის მოასფალტება, დაბა სურამში, იტრიის დასახლებაში, მამათა მონასტრის მისასვლელი გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა,სოფელ ალიდან სოფელ ნაბახტევამდე მისასვლელი გზის რებილიტაცია, სოფელ თაგვეთში, დაზიანებული გზის გასწვრივ ნაპირსამაგრი/ნაპირდამცავი კედლის სამშენებლო სამუსაოები, ქ,ხაშურში, ახალციხის N6 და N50 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაცია, დაბა სურამში სარაჯიშვილის N6, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაცია, ქ, ხაშურში, თამარ მეფის N3,N4,N5 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაცია, სოფელ უწლევში მისასვლელ გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა, ხაშურში მდინარე სურამულას ნაპირსამაგრი/ნაპირდამცავი სამუშაოები).სოფელ ცხრამუხაში შიდა გზის მოასფალტება.

,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N2401 განკარგულების საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო 904 000 ლარი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად.

„ სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N2400 განკარგულების საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო 2 195 000 ლარი (სოფელ ნაბახტევში მდინარე ჭერათხეულაზე ხიდის მოწყობისათვის სამუშაოებისათვის).

ზოგიერთი მუნიციპალიტეტებისათვის უფლებემოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ „ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 15 იანვრის N56 განკარგულების საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო თანხა 589 110,570 ლარი, ხაშურის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირების უზრუნველსაყოფად.

,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2024 წლის 15 იანვრის N44 განკარგულებით, ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო 206 700 ლარი მუნიციპალიტეტებში დასახლებული ტერიტორიებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეუფერხებლად გატანის მიზნით, ნაგავმზიდი მანქანის შესასყიდად.

საქართველოს მთავრობის 30,12,2019 N2735 განკარგულებით, საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2018-2021 წლების სტრატეგიის ფარგლებში ზოგიერთი მუნიციპალიტეტის მიერ ფინანსების მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით, 2021 წელს განსაზღვრული ღონისძიებების შესრულებიდან გამომდინარე, ზოგიერთი მუნიციპალიტეტისთვის კაპიტალური გრანტის გამოყოფის შესახებ ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო 400 000 ლარი, რომელიც მიმართულია სახელოვნებო სკოლის რეაბილიტაციისათვის.

2024 წლის 1 ივნისის მდგომარეობით, გადასახდელების საკასო შესრულებამ 15 956,6 ათასი ლარი შეადგინა, რაც შესაბამისი პერიოდის გეგმის 41,76%-ს შეადგენს, ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით, ხუთი თვის განმავლობაში გასაწევი ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების გეგმის შესრულება გადანაწილდა შემდეგნაირად: საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 62,67% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 12,84%), ეკონომიკური საქმიანობა - 29,73% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 36,58%), გარემოს დაცვა - 38,05% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 5,08%), საბინაო–კომუნალური მეურნეობა – 52,43%- ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 11,80%), ჯანმრთელობის დაცვა - 83,73% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 0,34%), დასვენაბა, კულტურა და რელიგია - 45,26% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 16,51), განათლება - 77,73 (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 11,78%), სოციალური დაცვა - 62,84% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯში -5,0%, ბიუჯეტის გადასახდელების გეგმა ეკონომიკური კლასიფიკაციის ჭრილში შემდეგნაირად შესრულდა: მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების ხარჯები - 67,01%-ით, სხვა საქონელი და მომსახურების ხარჯები -34,73%-ით, სუბსიდიები- 76,45%-ით, გრანტები- 0%-ით, სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები - 75,14%-ით, სხვა ხარჯები - 17,43%-ით, არაფინანსური აქტივების ზრდა - 33,21%-ით.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 18 დეკემბრის №28 დადგენილებით დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით, სარეზერვო ფონდის მოცულობა განისაზღვრა 30,0 ათასი ლარის ოდენობით. სარეზერვო ფონდის განკარგვა ხორციელდება მუნიციპალიტეტის მერის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტების საფუძველზე. 2024 წლის 1 ივნისის მდგომარეობით, ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეთით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან გახარჯულია სულ 5100 ლარი.

2600 ლარი გამოიყო 2024 წლის 8 თებერვლის N84.842403954 ბრძანებით, 2024 წლის 6 თებერვალს ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსული უხვი ნალექის შედეგად ადგილობრივი მოსახლეობის სასმელი ჭების დაბინძურების გამო, მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფის მიზნით -500 ერთეული 10 ლიტრიანი წყლის ავზის შესაძენად.

2000 ლარი გამოიყო, 2024 წლის 26 მარტის N84.84240863 ბრძანებით. 1992-1993 წლებში აფხაზეთში შეიარაღებული მოქმედებეის შედეგად უგზო-უკვლოდ დაკარგული ხაშურის მუნიციპალიტეტის ორი იდენტიფიცირებული პირის - ალექსი ქორთიაშვილისა და დიმიტრი ობოლაძის ოჯახების დახმარების მიზნით .

500 ლარი გამოიყო 2024 წლის 20 ივნისის N84.84241722 ბრძანებაით. სოფელ ჩუმათელეთში მცხოვრები სოციალურად გაჭირვებული არასრულწლოვანის დავით კვინიკაძის ოჯახისათვის ერთჯერადი ფულადი დახმარების მიზნით.

ნუგზარ გოცირიძე,საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის
ბიუჯეტის დაგეგმვის ანალიზისა და კონტროლის
განყოფილების ხელმძღვანელი

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის მიერ 2024 წლის იანვარ-ივნისის თვეში გაწეული მუშაობის ანგარიში

კულტურის სფეროში განსახორციელებელი ღონისძიებების პროგრამის ფარგლებში გამართული აქტივობები:

შობა-ახალი წლისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში, ტკბილეული და საჩუქრები გადაეცათ მცირე საოჯახო ტიპის სახლის ბენეფიციარებს, შშმ პირთა ბავშვთა მოვლის ცენტრებს და საზღვრისპირა ზონაში მცხოვრებ დაწყებითი კლასის და ალტერნატიული საბავშო ბაღის აღსაზრდელებს.

ქრისტეშობის დღესასწაულთან დაკავშირებით, მერიის წარმომადგენლებმა საშობაო ალილოსთვის მოამზადეს ტკბილეულის პაკეტები.

14 იანვარს საქართველოში სახელმწიფო დროშის დღე აღინიშნება. განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის ორგანიზებით, ამ დღესთან დაკავშირებით, ხაშურში სახელმწიფო დროშები გამოიფინა.

25 თებერვალს, სურამში ცნობილი უკრაინელი პოეტი ქალის, ლესია უკრაინკას დაბადებიდან 154-ე წლისთავი აღინიშნა. ამასთან დაკავშირებით, გვირგვინით შეიმკო მისი მემორიალი.

28 თებერვალს, ფოლკლორული ანსამბლი „ქართლი“ დაკმაყოფილდა ტრანსპორტირებით, თბილისში, ფესტივალ „დედაშვილობაზე“ დასასწრებად.

4 მარტს, სოფ. ოსიაურთან, ქართველი გმირებისა და იუნკერების ხსოვნის პატივისცემის ნიშნად, გვირგვინით შეიმკო მემორიალი.

3 მარტს, დედის დღესთან დაკავშირებით, „მომავლის სახლისა“ და „დღის მოვლის ცენტრის“ აღსაზრდელებთან მომუშავე პერსონალს, საჩუქრად გადაეცათ ყვავილები და ტკბილეული.

8 მარტს, ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ქალთა პერსონალს გადაეცა თაიგულები და ტკბილეული.

18-24 მარტის ფრანკოფონიის კვირეულს საქართველოში პირველად შეუერთდა ხაშური. ამასთან დაკავშირებით, ხაშურის ახალგაზრდულ სივრცეში, ფრანგული ენისა და ფრანკოფონიის (ფრანგულად მოლაპარაკე) დღესასწაულის აღსანიშნავად გაიმართა ღია კარის დღე. შეხვედრა მიეძღვნა საფრანგეთს დაფრანგულ კულტურას. ღონისძიების საპატიო სტუმრები იყვნენ საქართველოს ფრანგული ინსტიტუტის დირექტორი და საფრანგეთის ელჩის მრჩეველი და ატაშე.

21 მარტს, დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, საჩუქრები და სადღესასწაულო ტორტი გადაეცათ „მომავლის სახლის“ ბენეფიციარებს.

27-28 მარტს, სამხარეო ადმინისტრაციის, მაჟორიტარი დეპუტატის და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა, თბილისის სამებისა და ხაშურის საკათედრო ტაძრებში სამძიმრითა და გვირგვინებით პატივი მიაგეს აფხაზეთიდან გადმოსვენებულ, საქართველოს ერთიანობისთვის ბრძოლაში დაღუპულ, ჩვენი მუნიციპალიტეტის მკვიდრ ალექსი ქორთიაშვილისა და ბესიკ ობოლაძის ნეშტებს.

მარტის თვეში, ტრანსპორტით იქნა უზრუნველყოფილი ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების სახლის ვოკალური ანსამბლი ,,თოლია'' ფესტივალში მონაწილეობისთვის, სამუსიკო სკოლების სიმებიან საკრავთა განყოფილების მოსწავლეები იმყოფებოდნენ ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სახლ-მუზეუმში. ასევე, სამუსიკო სკოლის გაერთიანებული გუნდი დაკმაყოფილდა ტრანსპორტირებით ბავშვთა და მოზარდთა რესპუბლიკურ კონკურსზე ,,იპოვე შენი ვარსკვლავის'' შესარჩევ ტურზე და შემდეგ, მაისის თვეში, გალა კონცერტზე გასამგზავრებლად.

29 მარტი - 5 აპრილი, სურამის კულტურის სახლში გაიმართა, შემოქმედ ბავშვთა ფესტივალი „იავნანა“.

2 აპრილს, ქვიშხეთში, დიმიტრი ყიფიანის სახლ მუზეუმს ეწვია იაპონელი ენათმეცნიერი, მთარგმნელი და ქართველოლოგი იასუჰირო კოჯიმა და მუსიკოსი, ჟურნალისტი და კულტურული ღონისძიებების ორგანიზატორი ნაზი სარჯველაძე. მოეწყო ღონისძიება “ვაჟა-ფშაველა და იაპონია”. ღონისძიების ორგანიზატორები: ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

2 აპრილს, მსოფლიოში აუტიზმის შესახებ ცნობადობის ამაღლების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, კამპანიას ხაშურის მუნიციპალიტეტიც შეუერთდა და ბავშვთა და მოზარდთა განვითარების ცენტრის, - „საზოგადოება ბილიკის“ სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებისათვის მუსიკალური სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე სხვადასხვა ღონისძიებები გაიმართა.

9 აპრილს, გვირგვინითა და 9 აპრილის სიმბოლო - წითელი ტიტებით შეიმკო დაღუპულთა ხსოვნის უკვდავსაყოფი მემორიალი.

10 აპრილს, ხაშურის სამუსიკო სკოლის დარბაზში გაიმართა ვატო ჟორდანიას კლასიკური მუსიკის საღამო.

14 აპრილს, აღინიშნა დედაენის დღე მერიას დაქვემდებარებულ კულტურის სფეროს დაწესებულებებში.

17 აპრილს, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის და ხაშურის თოჯინების თეატრის ინიციატივით, კეთილდღეობის და განვითარების ცენტრის „მომავლის სახლის“, მოზარდთა განვითარების ცენტრისა და მე-2 საჯარო სკოლასთან არსებული დღის მოვლის ცენტრის აღსაზრდელებს უმასპინძლა ხაშურის მუნიციპალიტეტის თოჯინების თეატრმა.

23 აპრილს, საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდულ საგუნდო კოლექტივების VIII ეროვნულ კონკურსზე დასასწრებად, ანსამბლი „ქართლი“ უზრუნველყოფილი იქნა ტრანსპორტირებითა და მონაწილეობის საფასურით.

ასევე, 23 აპრილს, ქორეოგრაფიული ანსამბლი „კავკასიონი“ გაემგზავრა მცხეთაში.

26 აპრილს, ,,ყიფიანობის“ სახალხო დღესასწაულთან დაკავშირებით, მოხდა სპეციალურად მოწვეული სტუმრების ფურშეტით გამასპინძლება. აგრეთვე, მოხდა მონაწილეების ხაშურიდან ქვიშხეთი და პირიქით, ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა.

9 მაისს, ფაშიზმზე გამარჯვების დღესთან დაკავშირებით, გვირგვინით შეიმკო მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ხსოვნის მემორიალი.

11-13 მაისს, ქალაქ ბათუმში, ტურიზმისა და სასტუმრო აღჭურვილობის რიგით მე-15 ფესტივალზე „Expo Batumi Travel 2024“, ჩვენი მუნიციპალიტეტი ღირსეულად წარმოადგინა განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურმა და გამოფენაში აქტიური მონაწილეობისათვის სერთიფიკატიც დაიმსახურა.

17-23 მაისს, სურამის კულტურის ცენტრში გაიმართა, მე-12 ტრადიციული, კლასიკური და თანამედროვე ხელოვნების ფესტივალი.

18 მაისს, მიხეილ მურვანიშვილის დაბადების დღეს, ქართველი მეტყევისა და მეცნიერის ბიუსტი გვირგვინით შეამკეს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა.

ასევე, მაისის თვეში, ხაშურის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ლიტვისა და ლატვიის ხაშურთან დაძმობილებული ქალაქების დღესასწაულებზე. დელეგაციისთვის, მასპინძელ მხარეზე გადასაცემად, შეძენილ იქნა ქართული წარმოების სუვენირები. აგრეთვე, ლატვიაში, ქ. ბაუსკას დღესასწაულზე, სპეციალური მიწვევით იმყოფებოდა ქორეოგრაფიული ანსამბლი „ფრესკა“. კულტურის სფეროში განსახორციელებელი პროგრამის ფარგლებში მოხდა ანსამბლის წევრებისა და პედაგოგის ავიაბლეთებით დაფინანსება.

საზეიმო ღონისძიებებით აღინიშნა საქართველოს დამოუკიდებლობის დღე, 26 მაისი. გვირგვინებით შეამკო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულ გმირთა მემორიალი, საქართველო-სომხეთის 1918-1919 წლების ომში ხაშურის მუნიციპალიტეტიდან გარდაცვლილ მებრძოლთა სამმო სასაფლაო და სოფელ აძვისში, პატრიოტი მოქალაქის, დავით ნიკოლოზის ძე კაპანაძის საფლავი. ქალაქის ცენტრალურ ქუჩაზე მოეწყო ეროვნული სამოსით კოსტუმირებული მსვლელობა. მოეწყო ადგილობრივი შემოქმედების ნამუშევრების, მეწარმეების ნაწარმის და ყვავილების გამოფენება-გაყიდვები. პატარების გართობაზე იზრუნეს ანიმატორებმა. დღის ბოლოს გაიმართა საზეიმო კონცერტი ადგილობრივი და მოწვეული მომღერლების მონაწილეობით. სადღესასწაულო განწყობა ფეიერვერკმა დაასრულა.

31 მაისს, ახალციხეში, ფესტივალ “რაბათის გაზაფხულზე” მონაწილეობის მისაღებად, ტრანსპორტირებით დაკმაყოფილდა ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრის ქორეოგრაფიული ანსამბლი “კავკასიონი“.

31 მაისს, ხაშურის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ქალაქ გორში, შიდა ქართლის ტურისტული კავშირის “მეგზურის” ეგიდით გამათულ ტურისტული სეზონის გახსნისადმი მიძღვნილ ზეიმზე.

1 ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკვერში, ღია ცის ქვეშ, მოწვეულმა ანიმატორებმა იზრუნეს ბავშვების საზეიმო განწყობაზე. ასევე, მუნიციპალიტეტის დაფინანსებით, ხაშურში არსებული მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლებისა და დედათა და ბავშვთა თავშესაფრის ბენეფიციარები, მე-2 საჯარო სკოლასთან არსებული დღის მოვლის ცენტრის ბავშვები იმყოფებოდნენ კინოთეატრში.

4 ივნისს, ქ. ახალციხეში გამართულ ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილ ბავშვთა ფესტივალ-კონცერტში “ოქროს ვარსკვლავი- ნიჭიერი თაობა” მონაწილეობის მისაღებად, ტრანსპორტირებით იქნა უზრუნველყოფილი ქვიშხეთის კულტურის ცენტრთან არსებული ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლი “მთაწმინდა” და ხაშურის მუნიციპალიტეტის ფოლკლორული ანსამბლი “ლომისა”.

7 ივნისს, ხაშურის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით, ხაშურის თოჯინების თეატრის დარბაზში, ახალგაზრდულმა თეატრალურმა დასმა წარმოადგინა სპექტაკლი,,სამყაროს დაანახებს, ცუდს ნურაფერს ანახებთ!'' ინსცენირების ავტორი მაკო მაჭარაშვილი, რეჟისორი გია ცხვედაძე.

10 ივნისს, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, გაიმართა მუნიციპალურ ანსამბლ „ფრესკას“ კონცერტი, სადაც ასევე მონაწილეობდნენ მუსიკოსი მიშა წითელაშვილი, მსახიობი ზვიად დოლიძე და ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სოლისტი ლევან ტაბატაძე.

14 ივნისს, შშმ პირთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტის დაფინანსებით „მომავლის სახლის“ აღსაზრდელები იმყოფებოდნენ კინოთეატში 3D ფილმის საყურებლად.

15 ივნისს, განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის თანადგომით ხაშურის მუნიციპალიტეტის სასაზღვრო სოფელ წაღვლის ალტერნატიული ბაღის აღსაზრდელები იმყოფებოდა ბორჯომის პარკში.

18-25 ივნისს ბულგარეთის ქალაქ ვარნაში, ბავშვთა და მოზარდთა მე-11 საერთაშორისო კონკურს-ფესტივალზე „ოქროს ოცნება“ მონაწილეობისათვის, დაფინანსდა ხაშურის სამუსიკო სკოლის საორკესტრო განყოფილების პედაგოგი და მოსწავლე.

(დასასრული IVგვერდზე)

(დასასრული)

საანგარიშო პერიოდში, მუნიციპალიტეტში მცხოვრები პატარებისათვის, რეგულარულად იმართებოდა თოჯინების თეატრი.

სპორტულ ღონისძიებათა პროგრამის ფარგლებში:

ქ. ხაშურის კომპლექსურ სასპორტო სკოლასა და სოფლად არსებულ სასპორტო წრეებზე, რეგულარულად იმართება წვრთნები პროგრამით გათვალისწინებულ შემდეგ სპორტულ სახეობებში: ქ. ხაშურში: ჭიდაობა ძიუდო, ჭიდაობა სამბო, თავისუფალი ჭიდაობა, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, ქართული ჭიდაობა, ჭადრაკი, კალათბურთი, ფეხბურთი, ჩოგბურთი, ძალოსნობა, რაგბი, ბატუტზე ხტომა, მკლავჭიდი;

დაბა სურამში: ძიუდო, ფეხბურთი, რაგბი;

სოფლებში: სოფ. ვაყაში –ქართული ჭიდაობა, ძიუდო, სოფ. ალში – ქართული ჭიდაობა, ძიუდო, სოფ. გომში – ჭადრაკი, ფეხბურთი, სოფ. ოსიაურში – ქართული ჭიდაობა, სოფ. ცხრამუხაში – ფეხბურთი, სოფ. ბროლოსანში – ჭიდაობა ძიუდო; სოფ. კლდისწყაროში– ძალოსნობა, სოფ. ფლევში – ფეხბურთი, ჭიდაობა, სოფ. ქვიშხეთში – ფეხბურთი.

საწრთვნელო-სააღმზრდელო პროცესში ჩართულია 1 410-მდე ბავშვი/ სპორტსმენი.

ხაშურის კომპლექსური სკოლის აღსაზრდელები მუდმივად მონაწილეობენ ქვეყნის მასშტაბით ჩატარებულ სხვადასხვა დონის შეჯიბრებებში და აღწევენ კიდეც წარმატებებს.

26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღმნიშვნელ საზეიმო ღონისძიებაზე, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიამ დააჯილდოვა წარმატებული სპორტსმენები და მწვრთნელები:

ჩინჩალაძე საბა- საქართველოს ჩემპიონატზე I ადგილის დაკავებისათვის ქართულ ჭიდაობაში;

გიორგი გელაშვილი - საქართველოს ჩემპიონატზე I ადგილის დაკავებისთვის ჭიდაობა ძიუდოში;

მიშიკო ნოზაძე - საქართველოს ჩემპიონატზე I ადგილის დაკავებისთვის ჭიდაობა სამბოში;

ჩილაშვილი საბა - საქართველოს ჩემპიონატზე I ადგილის დაკავებისთვის ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ;

ნოზაძე ლევანი-საქართველოს ჩემპიონატზე I ადგილის დაკავებისთვის თავისუფალ ჭიდაობაში;

ჩილაშვილი საბა -18-22 იანვარს, ქალაქ ნიცაში (საფრანგეთში), ,,ანრი დეგლანის გრანპრის ტურნირზე I ადგილის დაკავებისათვის ბერძნულ რომაულ ჭიდაობაში;

გიორგი გელაშვილი -2-3 მარტს თურქეთში, ევროპის თასზე კადეტებში II საპრიზო ადგილის დაკავებისთვის ჭიდაობა ძიუდოში

გიორგი გელაშვილი - 6-7 აპრილს, ჩეხეთში, ევროპის თასზე III ადგილის დაკავებისათვის ჭიდაობა ძიუდოში;

ჩილაშვილი საბა-24-29 აპრილს, ბულგარეთში ტურნირზე III ადგილის დაკავებისთვის ბერძნულ რომაულ ჭიდაობაში.

გოგალაძე დიანა-26-28 აპრილს, საქართველოში ევროპის თასზე III ადგილის დაკავებისთვის ჭიდაობა ძიუდოში.

გელაშვილი გიორგი- 27-28 აპრილს საქართველოში ევროპის თასზე III ადგილის დაკავებისთვის ჭიდაობა ძიუდოში.

ლევან ნოზაძე- 9-12 მაისს, რუმინეთშისაერთაშორისო ტურნირზე III

ადგილის დაკავებისთვის თავისუფალ ჭიდაობაში.

ელგუჯა ლომიძე- 9-12 მაისს, რუმინეთში, საერთაშორისო ტურნირზე III ადგილის დაკავებისთვის თავისუფალ ჭიდაობაში.

ავთანდილ ჩანდიშვილი- 28-30 აპრილს, საქართველოს ჩემპიონატზე ჭაბუკებში I ადგილის დაკავებისთვის ძალოსნობაში.

ვეტერანი სპორტსმენი დიმიტრი მულაძე - 6 მარტს საქართველოს ჩემპიონატზე I ადგილის დაკავებისთვის ჭიდაობა ძიუდოში.

ფასიანი საჩუქრით დაჯილდოვდა JFC-მძიმე წონის მსოფლიო ჩემპიონი მიხეილ საჟინიანი

ასევე მერიამ დააჯილდოვა წარმატებული მწვრთნელები:

დიმიტრი მულაძე,
მალხაზ ნოზაძე,
კახაბერ ლომიძე,
გიორგი კვინიკაძე,
ავთანდილ ხარაზიშვილი,
ბეგლარ ხარშილაძე,
ბუხუტი ბუხრიკიძე,
ვახტანგ კვინიკაძე.

საანგარიშო პერიოდში, 1 იანვრიდან 1 ივნისამდე ჩატარებული ტურნირები.

6-7 მარტს, ქ.ხაშურში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი ქართულ ჭიდაობაში 2010-2011 წლებში დაბადებულ სპორტსმენთა შორის. ჩემპიონატში 500-მდე მოზარდი იღებდა მონაწილეობას.

11-13 მარტს, ხაშურის კომპლექსურ სასპორტო სკოლაში, გაიმართა საქართველოს პირველობა 23-წლამდელთა შორის, ბერძნულ-რომაული სტილით ჭიდაობაში.

26 მარტს გაიმართა ოლიმპიური თამაშების პრიზიორის, რამაზ ხარშილაძის სახელობის ტურნირი ჭიდაობა ძიუდოში..

30-31 მარტს, ხაშურის სასპორტო სკოლაში, ჩატარდა გიორგი მახარაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი კალათბურთში.

4 აპრილს გაიმართა დავით დათიაშვილის სახელობის ტურნირი ჭიდაობა სამბოში.

1 ივნისს, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის და სასპორტო სკოლის ინიციატივით, მორწყო, საყოველთაო გარბენი, „მარათონი 2024“ .

აპრილის თვეში, სპორტულმა კომპლექსმა უმასპინძლა საქართველოს ჩემპიონატს, თავისუფალ და ბერძნულ-რომაული სტილით ჭიდაობებში. შეჯიბრში სხვადასხვა წონით კატეგორიაში, 17 წლამდე ასაკის სპორტსმენები მონაწილეობდნენ.

26 მაისს გაიმართა მუნიციპალიტეტის ღია პირველობა - სკოლებს შორის, ჭადრაკში - ასაკობრივ კატეგორიებში.

6 ივნისს გაიმართა ლუკა მაისურაძის სახელობის ტურნირი ჭიდაობა ძიუდოში

ასევე, ფეხბურთის სფეროში ხაშურის საფეხბურთო გუნდი „ივერია“ - ბიჭები, მონაწილეობას იღებდა საქართველოს რეგიონული ლიგის ჩემპიონატში.

ხაშურის საფეხბურთო გუნდი „ივერია“ - გოგონები, მონაწილეობას იღებდა ჩემპიონატში „ქალთა ლიგა 2“.

აქტიურად მიმდინარეობს რაგბში სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფების მონაწილეობა.

წელს პირვლად ჩამოყალიბდა სურამის ქალთა რაგბის ჯგუფი, რომელიც აქტიურად იღებს მონაწილეობას სხვადასხვა დონის საფესტივალო შეჯიბრებებში.

2024 წლის იანვრის ბოლოდან, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს ინიციატივით, მოხდა სპორტსმენთა კვების თანხის ზრდა, ასევე გაიზარდა გამარჯვებულ სპორტსმენთა დაჯილდოების თანხები.

ხაშურელი ფეხბურთელები აქტიურად არიან ჩართულნი მოყვარულთა ლიგის რეგიონულ ჩემპიონატში. 23 ივნისს გამართულ კროკობეთ მოყვარულთა ლიგის ხაშურის მუნიციპალური ეტაპის ფინალურ შეხვედრაზე გამარჯვებულებს გადაეცათ ფასიანი საჩუქრები.

მაის-ივნისის თვეში კვლავ გვასახელეს ჩვენმა მოქმედმა და ვეტერან სპორტსმენებმა, საბა ჩილაშვილმა ხორვატიაში ქალაქ პორეჩში გამართულ 20 წლამდელთა შორის გამართულ საერთაშორისო ტურნირზე, ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა შორის, დაიკავა მე-2 საპრიზო ადგილი. დიმიტრი მულაძემ ევროპის ჩემპიონატზე ვეტერან სპორტსმენებს შორის ჭიდაობა ძიუდოში დაიკავა პირველი ადგილი.

ახალგაზრდული ღონისძიებების პროგრამის ფარგლებში:

17 თებერვლიდან 13 აპრილის ჩათვლით, შიდა ქართლის რეგიონის ქალაქებში ჩატარდა სასკოლო სპორტული ოლიმპიადის რეგიონული ტურები სპორტის სხვადასხვა სახეობებში, სადაც მონაწილეობა მიიღეს, ხაშურის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეებმა. აღნიშნულ აქტივობებში, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიამ და განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურმა ოლიმპიადის მონაწილეებს შეუძინა სათამაშო ფორმები და დაუფინანსდათ მგზავრობის ხარჯები, შიდა ქართლის ქალაქებში.

საანგარიშო პერიოდის დასაწყისიდან, ყოველკვირეულად მიმდინარეობდა ინტელექტუალური თამაში „ბიგ-რაუნდი“, რომლის ფინალური შეხვედრა, მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის მიერ, 8-9 ივნისს გაიმართა ქ. ბათუმში. მოხდა ფინალისტების ტრანსპორტირებითა და სასტუმროს მომსახურებით უზრუნველყოფა, გამარჯვებული გუნდები დაჯილდოვდნენს სხვადასხვა სახის ფასიანი საჩუქრებით.

1 აპრილს - ხაშურში, მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანო-„ხაშურის ახალგაზრდული საბჭო“ პირველად შეიკრიბა. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელმა პირებმა ერთად გაუსვეს ხაზი, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების სრულფასოვანი მონაწილეობისა და ჩართულობის მნიშვნელობას.

22 აპრილის, ,,დედამიწის დღესთან“ დაკავშირებით, სურამში, ახალგაზრდების ინიციატივით, განხორციელდა დასუფთავების აქცია. მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის მიერ მოხდა მათი ტრანსპორტირებით, დასუფთავებისათვის საჭირო ინვენტარით, გაზიანი სასმელებითა და სასმელი წყლით უზრუნველყოფა.

ახალგაზრდული პროექტების ფარგლებში, 28 მარტს განხორციელდა ხაშურის საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირება ქალაქ გორში საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში.

16 მაისს, ორგანიზება გაუკეთდა ხაშურის საფეხბურთო გუნდ ,,ივერიის“ გულშემატკივართა მგზავრობას ქ.თბილისში

22 მაისისდან - 3 ივნისის ჩათვლით, მუნიციპალიტეტის დაფინანსებით, სასკოლო სპორტულ ოლიმპიადაში, აღმოსავლეთ საქართველოს დასკვნით ეტაპზე მონაწილეობა მიიღეს, ხაშურის მუნიციპალიტეტის რეგიონულ ტურნირში გამარჯვებულმა საჯარო სკოლის მოსწავლეებმა.

18 ივნისს, შშმ პირთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ სპორტულ აქტივობებში მხარდაჭერა და დახმარება გაეწიათ ხაშურის მუნიციპალიტეტის დღის „მომავლის სახლის“ ბენეფიციარებს.

18 – 22 ივნისს, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერითა და დაფინანსებით, ქალაქის ცენტრალურ მოედანზე დიდ ეკრანზე განხორციელდა, ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს საფეხბურთო ნაკრების მატჩების ჩვენება

21 ივნისს, „მოიარე საქართველო - ვიწყებთ ჩვენი რეგიონით“ პროექტის ფარგლებში, მუნიციპალიტეტის მიერ ტრანსპორტით დახმარება გაეწია ხცისის საჯარო სკოლის ბავშვებს.

კონსტანტინე ფრუიძე,
მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა
და სპორტის სამსახურის ხელმძღვანელი

100 წელი - 1924 წლის აჯანყებიდან

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ 2024წ.#19,20,21,22)

ზიზღი და სიკვდილი ჩვენ მტრებს.

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!“.

თუ მთავრობისაგან არ იქნება მიღებული უსასტიკესი ზომები, თავად ჩვენ გავჟლიტავთ მშრომელი ხალხის მტრებსო, - აფრთხილებდნენ ლუბრუმელები ხელისუფლებას. მოდი და ნუ გაუწევ ანგარიშს ამ მოთხოვნას. გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილი ხელისუფლებაც იძულებული იყო თავად მიეღო უსასტიკესი ზომები.

და თუ როგორი მონდომებით ასრულებდნენ ხალხის ,,მოთხოვნებს“ ხელისუფლების წარმომადგენლები, კარგად ჩანს ერთი ეპიზოდიდან. თურმე ორჯონიკიძესთან მისულან ქართული ინტელიგენციის წარმომადგემლები (ეკატერინე გაბაშვილი და სხვები) და უთხოვნიათ: - ლევან რაზიკაშვილს სიცოცხლე აჩუქე, ვაჟა-ფშაველას შვილიაო. ,,ვაჟა-შაველასაც დავხვრეტდი, თუ ჩვენი წინააღმდეგი იქნებაო.

და ლუბრუმელებიც ,,...სავსევით მიზანშეწონილად“ მიიჩნევენ მთავრობის მიერ მიღებულ ზომებს, სრულებით არ აწუხებთ ასობით უდანაშაულო ადამიანების სიცოცხლე. მათ მხოლოდ ერთი რამ აწუხებთ: სურთ როგორმე დახვრეტილთა ქონებაც ჩაიგდონ ხელში. განსაკუთრებით მძიმე იყო ადგილობრივი ხელისუფლებისათვის 6 სექტემბერი. ამ ღეს ზედიზედ ტარდება მიტინგები ცხრამუხაში, წრომში, სურამში, ქვიშხეთში, ტეზერში... ერთი და იგივე შინაარსის რეზოლუციები ერთადერთი მოთხოვნით, - დახვრიტეთ!

ცხრამუხელები ვალდებულებას ღებულობენ სოფლიდან გარეკონ ყველა ეჭვმიტანილი ელემენტი.

,,6 სექტემბერს, სოფელ ცხრამუხის მცხოვრებ გლეხთა საზოგადო მიტინგმა, 500 კაცისაგან შემდგარმა, მოისმინა მოხსენება მთელი რიგი ამხანაგებისა მენშევიკების ავანტურისტული გამოსვლების შესახებ. მიტინგი მენშევიკების ავანტურისტულ გამოსვლებს სთვლის მშრომელი ხალხის მორიგ ღალატად. მიტინგი საჭიროდ თვლის ასეთი გამოსვლების მოწყობისათვის და მშრომელი ხალხის აწიოკებისათვის ერთხელ და სამუდამოდ საქართველოს ტერიტორიიდან განდევნილ იქნან მღვდლები, მენშევიკები, თავადები და ხალხის ტყავის მძრომელი ვაჭრები, რომლებიც მუდამ მშრომელი ხალხის მოღალატენი იყვნენ. ის ავანტურისტები, რომლებმაც გაბედეს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლა, დასჯილი იქნენ უმაღლესი სასჯელით - დახვრეტით!

სოფელ ცხრამუხის გლეხობა ფიცსა სდებს ხელი-ხელჩაკიდებული გაჰყვეს საბჭოთა ხელიუფლებას და კომუნისტურ პარტიას. ჩვენ მივიღებთ ყოველგვარ ზომებს სოფლიდან ყველა მოწინააღმდეგე ელემენტების განდევნისათვის.

ძირს ავანტურისტები და მშრომელი ხალხის მოღალატენი!

ძირს მუშებისა და გლეხების გამყიდველები!

ძირს მშვიდობიანობის დამრღვევნი!

ძირს პარიტეტული კონტრევოლუცია, რომელსაც ზურგს უმაგრებს თავადაზნაურობა, ბანდიტები, მღვდლები და ვაჭრები!

გაუმარჯოს მუშურ-გლეხურ მთავრობას!

გაუმარჯოს წითელ არმიას!

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას!.

დრამატული ხასიათი მიიღო მოვლენებმა სოფელ ტეზერში. აქ ორჯერ, ჯერ 6, ხოლო შემდეგ 9 სექტემბერს გაიმართა გლეხთა მიტინგები. ტეზრელებსაც კმაყოფილების გრძნობა ეუფლებათ ხელისუფლების მხრიდან გატარებული სისხლიანი ანგარიშშწორების მიმართ და ამავე დროს გადაჭრით მოითხოვენ საქართველოს საბჭოთა მთავრობისაგან, რომ მან მანამდე ისარგებლოს სასჯელის ამ ზომით (ე.ი. დახვრეტით - თ. ლ.), სანამ დედამიწასთან არ იქნება გასწორებულნი საქართველოს მტრები!

სოფელ ტეზრის და მის ახლო მდებარე სოფლების გლეხთა საზოგადო მიტინგმა 6 სექტემბერს, მოისმინა რა მოხსენება მიმდინარე მომენტზე და მენშევიკების მოღალატური მოქმედების შესახებ, გამოიტანა რეზოლუცია:

,,საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, მას მიეცა მშვიდობიანი ცხოვრების პირობები.

ამიტომ, საქართველოს მშრომელი ხალხის მტრებმა მენშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით საქართველოს მშრომელი ხალხის მშვიდობიანობა, მოაწყვეს ვერაგული გამოსვლა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში.

ჩვენ არ შეგვიძლიან ამ გამოსვლებს უყუროთ გულგრილად. მოვითხოვთ, რომ სამღვდელოება, თავადაზნაურობა, ძველი ოფიცრობა, ვაჭრები და მენშევიკები, რომლებსაც გლეხობა კმაყოფილებით შეხვდება ყაჩაღ-მენშევიკების და თავად-აზნაურთა მეთაურთა დახვრეტას და გადაჭრით მოითხოვს საქართველოს საბჭოთა მთავრობისაგან, რათა მან ამ ზომით ისარგებლოს მანამდე, სანამ დედამიწასთან არ იქნებიან გასწორებულნი ყველა ის ვაჟბატონები, რომლებმაც ხელი შეუშალეს საქართველოს კულტურულ და ეკონომიურ წინსვლას.

სიკვდილი იმ ვაჟბატონებს, რომლებიჩ თითონ არაფერს ჰქმნიან საზოგადოებისათვის და სურთ გლეხების შრომით გასუქება.

გაუმარჯოს მუშურ-გლეხურ მთავრობას.

გაუმარჯოს მუშურ-გლეხურ წითელ ჯარს, რომელიც ცეცხლითა და მახვილით აღგვის დედამიწის პირიდან საბჭოთა მთავრობის მოწინააღმდეგეთ.

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას და მის საერთაშორისო შტაბს მე-3 კომუნისტურ ინტერნაციონალს!“(გაზ. ,,კომუნისტი“, 1924, #540).

ხელისუფლებამ ალბათ ყურად არ იღო ტეზრელების მიტინგის რეზოლუცია და 9 სექტემბერს სოფელში უკვე გლეხთა ყრილობა იმართება. ,,ჩვენ არ შეგვიძლიან ამ გამოსვლებს უყუროთ გულგრილადო“ - აცხადებდნენ ტეზრელები 6 სექტემბერს გამართულ მიტინგზე და რადგან ხელისუფლებამ ვერ ,,შეასრულა“ მათი მოთხოვნები, თავად გადადიან უკვე აქტიურ მოქმედებაზე.

16 სექტემბერს, გაზეთ ,,კომუნისტში“ გამოქვეყნდა პატარა წერილი - ,,გლეხობის განწყობილება გორის მაზრაში“, ცნობილი რევოლუციონერის ვ. ქურდაძის ხელმოწერით. მასში ვკითხულობთ:

,,სოფელ ტეზრის გლეხობამ თავის ყრილობაზე ენკენისთვეს დაადგინა გააძევოს სოფლიდან მთლიანად თავად-აზნაურობა (ყიფიანები და სხვები). ეს დადგენილება მათ ნაწილობრივ უკვე მოიყვანეს სისრულეში. ასეთი განწყობილება მასიურ ხასიათს იღებს იმის შემდეგ, რაც გლეხობამ გაიგო, რომ უკანასკნელი ავანტურის მონაწილენი თავად-აზნაურები იყვნენ. მაზრის ხელისუფლება ჩაერია საქმეში და გლეხობის დაშოშმინებით სცდილობს მოსალოდნელი ექსცესების თავიდან აცილებას (თუ როგორ და როდის ჩაერია, ამას ქვემოთ ვნახავთ - თ. ლ.). გლეხობა ერთხმად აცხადებს, რომ ისინი არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებენ გაძევებულ თავად-აზნაურობის უკან დაბრუნებას. გლეხობამ განაცხადა: ,,თუ თქვენ დააბრუნებთ თავადებს, ჩვენ არ ვიცით მათ რას ვუზამთ და პასუხისმგებლობას თავიდან ვიხსნითო“.

წერილის ბოლო აბზაცი ცინიზმის შესანიშნავი ნიმუშია. აი ისიც. თურმე ,,სამაზრო ხელისუფლების მიერ გაგზავნილია ყველგან პარტიული ამხანაგების წინადადებით, რათა დაამშვიდონ აღელვებული გლეხები და არ დაუშვან მაზრაში ექსცესები. ამ მხრივ სამაზრო ხელისუფლება დიდ ენერგიას იჩენს“. ამ დროს გორის მაზრაში საერთოდ და ხაშურის რაიონშიც, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, აჯანყებას ადგილი არ ჰქონია და სიწყნარე სუფევდა, ყველაფერი მოთავებულია. ხელისუფლების მიერ დახვრეტილია ასობით ადამიანი და ნუ იტყვით, სამაზრო ხელისუფლება თურმე ,,დიდ ენერგიას იჩენს“ მაზრაში რაიმე ექსცესები არ მოხდეს. ამაზე იტყვიან ალბათ, კიდევაც ჭრიან და კიდევაც კერავენო... მაშ როგორ გინდა შეამცირო საქართველოში თავად-აზნაურობის პროცენტი? ყველაფერი შესანიშნავად არის მოფიქრებული წინასწარ. ხელისუფლებამ ადგილებზე ჯერ სავსებით თავისუფლად მიუშვა სადამსჯელო ორგანოები სისხლიანი ანგარიშსწორებისათვის და როცა ყველაფერი მოათავეს, მერე დაგზავნეს ყველგან ,,პარტიული ამხანაგები“ ,,აღელვებული გლეხების“ დასამშვიდებლად და დასაშოშმინებლად, რომ მათ მხრიდან რაიმე ექსცესებს არ ჰქონოდა ადგილი. მართლაც, რომ ,,დიდ ენერგიას იჩენდა“ სამაზრო ხელისუფლება სისხლიანი რეპრესიების განხორციელებაში.

იმ დღეებში დახვრიტეს ვინმე პავლე ორჯონიკიძე. ალბათ ტეზრიდან უნდა ყოფილიყო (ამჯერად ამას მნიშვნელობას არ ვანიჭებთ, უბრალოდ, რაიონში ორჯონიკიძეები ძირითადად ტეზერში ცხოვრობდნენ). ,,აზნაური, ყაჩაღი“ - ასე ახასიათებს გაზეთი ,,მუშა“ მას. ძ ა ლ ზ ე შემზარავია მიტინგებზე მიღებული რეზოლუციები, რომლებშიც მხოლოდ ერთად-ერთი სიტყვა დომინირებს - ,,დახვრიტეთ!“ კითხულობ რეზოლუციის ტექსტებს და გზარავს ის სინამდვილე, თუ რა ძირს შეიძლება დაეშვას ადამიანი.

გაზეთ ,,მუშის“ სპეციალური კორესპონდენტის, ვინმე პეტრე სამსონიძის სიტყვები პეტრე ორჯონიკიძეზე იწვევს მხოლოდ ღიმილს. ,,აფსუს, რა კაცის გვარს აფუჭებს!“ - წერს გულშეღონებული ბატონი პეტრე.

ერთი პატარა დოკუმენტიც იმის შესახებ, თუ, როგორი არაჯანსაღი ატმოსფერო სუფევდა მაშინ ხაშურის რაიონში. დოკუმენტი აჯანყების წინადღეებშია შექმნილი და სოფელ ტეზერს უკავშირდება.

20 აგვისტოს საქართველოს ალკკ ხაშურის რაიკომის პასუხისმგებელი მდივნის ხელმოწერით, ხაშურის რაიაღმასკომს ეგზავნება რაიკომის სხდომის ოქმის ამონაწერი, რომელშიც აღნიშნულია, რომ 16 აგვისტოს კომკავშირის ხაშურის რაიკომის პრეზიდიუმმა მოისმინა ტეზრის კომკავშირული უჯრედის განცხადება ალექსანდრე ელისაშვილის მიერ საბჭოთა ხელისუფლების გალანძღვის შესახებ და თხოვს რაიაღმასკომს გაატაროს სათანადო ზომები .

რა ბედი ეწია ალექსანდრე ელისაშვილს, ეს საარქივო დოკუმენტებში არ ჩანს, მაგრამ თვით ფაქტია საინტერესო. კარგად იკითხება, რომ ამ დროს დასმენები ჩვეულებრივი მოვლენაა, რაც ხშირად ტრაგედიით მთავრდება. ეს მით უფრო საყურადღებოა, რომ ელისაშვილის დასმენას აგვისტოში ჰქონდა ადგილი და სულაც არ არის გასაკვირი ვიღაცას გახსენებოდა აჯანყების დღეებში...

6 სექტემბერს, მიტინგი იმართება აგრეთვე სოფელ წრომში. მიტინგს წრომისა და მის ახლო-მახლო სოფლებიდან გლეხები ესწრებოდნენ, სულ 210 კაცი. რა თქმა უნდა, აქაც მოისმინეს მოხსენება ,,მთელი რიგი ამხანაგებისა (ეს ამხანაგები ალბათ ის პარტიული ამხანაგები არიან, რომლებსაც სამაზრო კომიტეტი აგზავნიდა სოფლებში გლეხების დასაშოშმინებლად, რომ მათი მხრიდან რაიმე ექსცესებს არ ჰქონოდა ადგილი - თ.ლ.) საქართველოში მენშევიკური ბანდიტების ავანტურისტული გამოსვლების შესახებ“.

მიტინგზე, როგორც ჩანს დიდი კამათი არ ყოფილა თუ როგორი შინაარსის რეზოლუცია მიეღოთ, ან რა ღონისძიებებისთვის მიემართა საბჭოთა ხელისუფლებას. აქაც, როგორც ყველგან, ერთსულოვნება სუფევდა, რადგან ,,მიტინგმა ერთხმად აღიარა, რომ იგი ყოველ ღონეს იხმარს და მზად არის საბჭოთა ხელისუფლების დასაცავად.

მიტინგი კატეგორიულად მოითხოვს საბჭოთა ხელისუფლებისაგან, რათა ავანტურის ყველა მონაწილე მენშევიკი და თავად-აზნაურობა დასჯილ იქნენ უმაღლესი სასჯელით - დახვრეტით! დეე იცოდნენ ყველა ქვეყნის კაპიტალისტებმა და მე-2 ინტერნაციონალის ბელადებმა, რომ საქართველოს მშრომელი მასა არის საბჭოთა მთავრობის დამცველი და მისი მიმდევარი. ტყუილია მათი ცდა, რომ ააცილონ ამ გზას მშრომელი მასა.

ძირს თავად-აზნაურობა და მათი დამცველი მენშევიკები!

ძირს მშრომელი გლეხკაცობის და პროლეტარიატის გამყიდველნი!

გაუმარჯოს მუშებისა და გლეხების მძლავრ კავშირს!

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას!

გაუმარჯოს საქართველოს საბჭოთა მთავრობას!“

როგორც ვხედავთ, წრომელებიც კატეგორიულად მოითხოვენ საბჭოთა ხელისუფლებისაგან ,,ავანტურის“ ყველა მონაწილის დახვრეტას. საწყალი საბჭოთა ხელისუფლება. რამდენი მიტინგის მოთხოვნას უნდა გაუწიოს ანგარიში, წრომისთანა ხომ უამრავი სოფელია საქართველოში, ყველგან ხომ იმართება მიტინგები? მართალია, მიტინგებს თავად აწყობს და მართავს, მაგრამ ხალხის ,,მოთხოვნა“ ხომ მისთვის კანონია, ის ხომ ხალხის ხელისუფლებაა.

და საბჭოთა ხელისუფლებაც, ადამიანთა გვამებზე მოსული ხელისუფლება, რომელსაც ჯერ ვერ მოუსწრია სისხლის ჩამორეცხვა, ხალხის კატეგორიული მოთხოვნით კვლავ ადამიანთა სისხლში იძირება.

ვერც გაამტყუნებ, ,,საბჭოთა მთავრობის დამცველი და მისი მიმდევარი“ ხალხისთვის მის მიერვე შეთავაზებულ მოთხოვნებს შესრულება ხომ უნდა?

დახვრიტეთ!

დახვრიტეთ!

დახვრიტეთ!

არც თუ ისე ადვილი უნდა იყოს ამ სიტყვის თქმა, ალბათ უფრო ძნელია მისი სისრულეში მოყვანა, მაგრამ ხელისუფლებას, რომელიც საბჭოთა რუსეთმა შემოიტანა ექსპორტის სახით საქართველოში, ამ საქმეში საკმაოდ დიდი გამოცდილება ჰქონდა დაგროვილი თვით რუსეთში...

განსაკუთრებით ხალხმრავალი მიტინგი გაიმართა სურამში. მას 1200 კაცი ესწრებოდა. ძირითადი მოხსენება ვაშაკიძემ გააკეთა, მას სხვა ამხანაგებმაც აუბეს მხარი. დღის წესრიგდგასში აქაც ერთი საკითხი: ,,თავად-აზნაურობის, მენშევიკების, ძველი ოფიცრების, სამღვდელოების და ჩარჩ-ვაჭრების თავხედური გამოსვლის შესახებ“.

მიტინგმა მიიღო შემდეგი შინაარსის რეზოლუცია:

,,იგონებს რა კრულვით მენშევიკების ბატონობის დროს და იმ სისხლის გუბეებს, რომლებშიაც იხრჩობოდა საქართველოს მშრომელი ხალხი, იგონებს რა დამღუპველ პოლიტიკას, რომელსაც აწარმოებდნენ საერთაშორისო მენშევიკები და კერძოდ საქართველოს მენშევიკები, გათახსირებული თავად-აზნაურები, ძველი ოფიცრები, სამღვდელოება და ჩარჩ-ვაჭრები, მიტინგი ერთხმად ზიზღს აცხადებს მათი პროვოკაციული გამოსვლების გამო, მოითხოვს მათ სასტიკად დასჯას.

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

გორში საერთაშორისო ოლიმპიური დღე გარბენით აღნიშნა

საერთაშორისო ოლიმპიურ დღესთან დაკავშირებით, „შიდა ქართლის სპორტული თამაშები 2024-ს“ ფარგლებში, გორში მასობრივი ოლიმპიური გარბენი გაიმართა, ღონისძიება შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის ინიციატივითა და საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მხარდაჭერით ჩატარდა. ოლიმპიურ გარბენში მონაწილეობა ოლიმპიურმა ჩემპიონ-პრიზიორებმა, სეოკ-ის, ბაკურიანი-2025- ის, გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტში მცხოვრებმა სპორტსმენებმა, ადგილობრივი თვითმმართველობის თანამშრომლებმა და მაცხოვრებლებმა და ასევე, საქართველოში საფრანგენთის საელჩოს წარმომადგენლებმა მიიღეს.

მასობრივ ოლიმპიურ გარბენში ქალთა და კაცთა კატეგორიაში გამოვლინდნენ გამარჯვებულები, რომლებსაც საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისგან გადაეცათ შესაბამისი პრიზები, ასევე გარბენის ყველა მონაწილემ მიიღო სპეციალური მაისური და მონაწილეობის სერტიფიკატი. პირველ გამარჯვებულ სამეულს კი ფულადი ჯილდოები გადაეცათ.

ღონისძიებაზე 70 წლის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით ოლიმპიური ჩემპიონი, ვახტანგ ბლაგიძე საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის სპეციალური დიპლომით და ფულადი პრემიით დაჯილდოვდა, რომელიც ოლიმპიურ ჩემპიონს სეოკ-ის პრეზიდენტმა ლერი ხაბელოვმა გადასცა.

„შიდა ქართლის სპორტული თამაშები“ 2022 წლიდან ტარდება და მისი მიზანია რეგიონში სპორტის მხარდაჭერა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია,

მოსახლეობის, განსაკუთრებით კი ახალგაზრდების აქტიური ჩართვა სპორტულ ღონისძიებებში. გასულ წელს თამაშებში უკვე 5000-ზე მეტმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. წლევანდელი პროგრამის ფარგლებში კი შეჯიბრებები მძლეოსნობაში, კალათბურთში, ფეხბურთსა და ქართულ ჭიდაობაში გაიმართება.

ღონისძიება საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის, საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს, შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის, გორის, ქარელის, ხაშურის და კასპის მუნიციპალიტეტების, სეოკ-ის შიდა ქართლის რეგიონალური ორგანიზაციის ორგანიზებითა და საქართველოს ბანკის, კომპანია ,,ავერსისა“ და ,,თელიანი ველის“ ფინანსური მხარდაჭერით მოეწყო.

შემოქმედებითი განვითარების ცენტრის შემაჯამებელი ღონისძიება

ახალგაზრდული ცენტრის დარბაზში გამართულ შემაჯამებელ ღონისძიებას „მიდის თაობა, , იმედი ხვალის!” ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანი, საკრებულოს წევრები და მერიის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს ხაშურის მუნიციპალიტეტის შემოქმედებითი განვითარების ცენტრში არსებულმა სხვადასხვა წრეებმა. წარმოადგინეს მთელი წლის მანძილზე შესწავლილი ქართული ცეკვები და საესტრადო სიმღერები. გამოფენილი გახლდათ: ხატვის, ქარგვის და თექის წრის წევრთა საინტერესო ნამუშევრები.

ღონისძიების მსვლელობისას, ხატვის წრის წევრებმა ანი სუხიაშვილმა და ანი ქურდაძემ შეასრულეს საინტერესო კომპოზიცია, რომელიც სამახსოვროდ ხაშურის საკრბულოს თავჯდომარეს - ნინო ლიპარტელიანს გადასცეს.

ღონისძიების მიწურულს, ცენტრის დამამთავრებელ წევრებს, კულტურის ცენტრების გაერთიანების დირექტორმა გიორგი ბოლოკაძემ და ცენტრის მენეჯერმა ალექსანდრე ჯოჯიშვილმა გადასცეს სამახსოვრო სერთიფიკატები.

- ჩ ო გ ბ უ რ თ ი -

გამოვლინდნენ ღია ტურნირის გამარჯვებულები

ტურნირს ჩოგბურთში, ხაშურის ღია პირველობაზე, გასულ წელს ჩაეყარა საფუძველი. ამ ტურნირის ინიციატორი და ორგანიზატორი ჩვენი ქალაქის მკვიდრი ალექსანდრე ალბრეხტია. ტურნირი მოყვარულ ჩოგბურთელებს შორის იმართება და, შეიძლება ითქვას, რომ უკვე საკმაოდ პოპულარულია. გაზეთის მუდმივ მკითხველს ალბათ ახსოვს, რომ გასულ წელს ტურნირის ჩემპიონი ლუკა მაისურაძე გახდა. ლუკა, სხვათა შორის, წლევანდელი ჩემპიონატის ფინალშიც გავიდა, სადაც ახალ ჩემპიონთან - გიორგი ქალიაშვილთან დამარცხდა დაძაბულ ბრძოლაში. მანამდე კი - ნახევარფინალში ლუკამ ვაკო ციცქიშვილი დაამარცხა, გიორგიმ კი - გივი სამხარაძე.

შერეული წყვილების ფინალში ბერდია ხოსრუაშვილისა და ნინი ლაცაბიძის წყვილმა დაამარცხა მოსე ბაღდინოვისა და თეკლა ბოჟაძის წყვილი და ჩემპიონობაც იზეიმა.

ვულოცავთ ჩემპიონებს ღირსეულ გამარჯვებას და მადლობა ბატონ ალექსანდრე ალბრეხტს, რომელიც ამ შესანიშნავ ტურნირს აორგანიზებს. აქვე გვინდა ერთიც აღვნიშნოთ: ჩვენს ქალაქში არცთუ ცოტაა ისეთი ბიზნესმენი, რომლებსაც სრულიად თ ა ვ ი ს უ ფ ლ ა დ შეუძლიათ მსგავსი (არა მხოლოდ ჩოგბურთში) ტურნირების ორგან-იზება და ფინანსური მხარდაჭერა. იმედია, ისინი გაიმეორებენ ბატონი ალექსანდრეს მაგალითს და ჯანსაღი ცხოვრების წესის პ ო პ უ ლ ა რ ი ზ ა ც ი ა ში თავის წვლილს შეიტანენ.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.